

## იდენტობის პროცესები და თვითშეფასება ქართველ მოზარდებში

ავტორი: ია საყვარელიძე

სამაგისტრო ნაშრომი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტის ფსიქოლოგიის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო სხირტლაძე, დოქტორი

სოციალური ფსიქოლოგიის პროგრამა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,

თბილისი, 2018 წელი

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ია საყვარელიძე

22.06.2018

## აბსტრაქტი

მოცემულ სამაგისტრო ნაშრომში განხილულია ის მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლებიც საჭიროა პიროვნების ჩამოყალიბებისთვის, კერძოდ იდენტობის ფორმირება და თვითშეფასება. პირველი პასუხობს კითხვაზე- ვინ ვარ და რისი გაკეთება მინდა ცხოვრებაში, ხოლო მეორე-ახდენს ადამიანის თვითღირებულების გლობალურ შეფასებას. ვინაიდან იდენტობის ცნება საკმაოდ ფართოა. მოცემულ ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია იდენტობის პროცესზე ორიენტირებულ მოდელზე, რომლის ავტორებიც არიან ლუქსი და კოლეგები (Luyckx, klimstra, duriez & Goossens, 2012). და რომელსაც აქვს 5 განზომილება - არჩევნის გაკეთება, ალტერნატივების ძიება, სიღრმისეული ძიება, არჩევანთან იდენტიფიკაცია, მუდმივი ძიება და არჩევნის გადასინჯვა. ნაშრომში მოცემული კვლევის მიზანია, დაადგინოს კავშირი თვითშეფასებასა და იდენტობის პროცესებს შორის ქართველ მოზარდებში. ამისათვის ჩატარდა კვლევა, თბილისისა და რუსთავის საჯარო სკოლების მასშტაბით, სადაც მონაწილეობა მიიღო 511 მოსწავლემ. თვითშეფასების გასაზომად გამოყენებული იყო როზენბერგის თვითშეფასების სკალა, ხოლო იდენტობის პროცესების გასაზომად იდენტობის განვითარების სკალა. მნიშვნელოვანი კორელაცია გამოჩნდა იდენტობის პროცესებსა და თვითშეფასება შორის. კერძოდ არჩევნის გაკეთება და არჩევანთან იდენტიფიკაცია პოზიტიურ კავშირშია თვითშეფასებასთან, ხოლო მუდმივი ძიება და არჩევნის გადასინჯვა ნეგატიურად უკავშირდება თვითშეფასებას.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** თვითშეფასება, იდენტობა, იდენტობის პროცესები, იდენტობის ჩამოყალიბება.

## **Abstract**

The present study is discussed important aspects of personal development, such as identity formation and self-esteem issues. The concept of identity is too wide, that's why in this study I used process oriented model of identity, which has 5 dimensions: commitment making, exploration in breadth, exploration in depth, ruminative exploration, identification with commitment. Our research aimed to study how identity processes were associated with self-esteem in georgian adolescents. Therefore, we studied 511 teenagers in Rustavi and Tbilisi schools. Participants completed the dimensions of identity development scale and self-esteem was measured using the Rosenberg self-esteem scale. The results show commitment making, identification with commitment and exploration in depth were positively related to self-esteem, ruminative exploration was negatively correlated to self-esteem.

**Key words:** self-esteem, identity, identity formation, identity process